



გიგანტი



ნან. ს. ნალანდევსკილის.

10
წელი

ს.ს.

უცხე უზრუნველყოფის ტიპი:—სად იღონებთ საშუალებას თქვენს უმცირეს იუბილეს?
ნიანგი:—ხუმორი წლის იუბილეს მე გავიხსენებ მსოფლიო საბჭოთა ქვეყნებში და თქვენ ალარ უფუხადებით აქვე გამოგზავნავენ.

მარქსსა და ენგელსს უყვარდათ სატირა, მახვილი ხუმრობა, მამხილებელი დაცინვა. ლენინი გესლიანი დაცინვისა და ღრმა ირონიის ოსტატი იყო. ამხ. სტალინი ხშირად ხმარობს პროლეტარიატის მტრებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ სატირის იარაღს. ქვემოთ ვთავსებთ პროლეტარიატის ბელადების ნაწარმოებებიდან ზოგიერთ ადგილებს, სადაც ნათლად ჩანს — თუ როგორ მახვილია მტერთან ბრძოლაში სატირა-ჰუმორის იარაღი, როცა იგი დახელოვნებულ ოსტატს უჭირავს ხელში.

მარქსის პოლიტიკური კამფლემბი, რომელშიაც მოცემულია არა მარტო ტიპის პორტრეტი, არამედ ყოველი ბუჩუაზიული პოლიტიკოსი სოციალ-ფაშისტების ჩათვლით.

აი, როგორ ახასიათებს მარქსი ჩვენი დროის სოციალ-ფაშისტების პროტოტიპს — ტიერს:

„ტიერი — ეს ბაჰია-საშინელება მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ხიბლავდა საფრანგეთის ბურჟუაზიას, რადგან იგი წარმოადგენდა ბურჟუაზიის კლასიური გახრწნილების იდეურ გამოსახულებას.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი არ იყო სახელმწიფო მოღვაწე, არამედ იყო უბრალო ისტორიკოსი, მან დაამტკიცა თავისი ოსტატობა ტყუილებში.

იგი მხოლოდ თავისი გამდიდრების გაუმძღარი წყურვილის

რეგის ერთგული იყო. ღარიბი იყო როგორც იობი, როცა პირველად ლუი-ფილიპეს სამინისტროში დაიწყო სამსახური. ამ სამინისტროდან იგი მილიონერად დაბრუნდა. . . . იგი საჯაროდ გაასამართლეს სახაზინო ფულების გაფლანგვისათვის. ბრალდების გასაბათილებლათ ატირდა და ცრემლებით „იმართლა“ თავი.

1871 წელში, როცა რესპუბლიკა ფინანსიური კრახის წინაშე იდგა, მან სამი მილიონი დაინიშნა წლიურად ჯამაგირი“

(კ. მარქსი „სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1871 წელს“)

ლენინი

ტიტველი ველური, რომელიც თავზე დაიხურავს ცილინდრს და თავისთავს ევროპიელ პოეტად წარმოიდგენს, სასაცილო იქნება.

სწორედ ასეთ ველურს გვაგონებს ბურჟუაზიის მომხრე მილიუკოვი, როცა იგი მე-3 სახელმწიფო დემაში გვარწმუნებს: „ჩვენ გვაქვს, მაღლობა ღმერთს, კონსტიტუცია“.

ასევე სასაცილოა მუშების მომხრე აქსელროდიც, როცა იგი თავზე იხურავს ცილინდრს წარწერით: „მე ვარ ევროპიელი სოციალ-დემოკრატი“. ესენი ორივე, მილიუკოვი და აქსელროდი, სასაცილონი არიან თავიანთი გულუბრყვილობით, ორივე ოპორტუნისტი, რადგან „ევროპიულობაზე“ ოცნებით გვერდს უვლიან არსებით მხა-

მწარე დაცინვის ნიმუში

რეს — თუ როგორ უნდა მოიქცეს კლასი ევროპიულობის საფუძვლების დასამკვიდრებლად არა ევროპიულ გარემოებაში.

* * *

როცა ჩვენ საბოლოოდ გავიმარჯვებთ მსოფლიო მამუტაბით, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ოქროსაგან გავაკეთებთ საჯარო საპირფარეოებს რამდენიმე უდიდეს ქალაქებში. ეს იქნებოდა ოქროს ყველაზე უფრო სამართლიანი და თვალსაჩინო მოხმარა იმ თაობებისათვის, რომლებსაც კიდევ ემახსოვრებათ, რომ ოქროსთვის „1914-1918 წლ. გამათავისუფლებელ ომში“ დაიღუპა 10 მილიონი და დასახიჩრდა 30 მილიონი კაცი.

ენგელსი მწარედ დასცინის ბუჩუაზიულ მოკრალს


ჩვენს დროში, მეშინობის დროში, ცოლქმრობა ორგვარია. კათოლიკურ ქვეყნებში მშობლები ცდილობენ თავის ვაჟს შესაფერისი საცოლო გამოუნახონ. ამის შედეგად ოჯახურ ცხოვრებაში პირიქით ხდება: ქმარი პროსტიტუტკებთან ატარებს დროს, ხოლო ცოლი — სხვა კაცთან. კათოლიკურმა ეკლესიამ მოსპო განქორწინება იმ მოსაზრებით, რომ, სულერთია, როგორც სიკვდილის წინააღმდეგ არ არის არავითარი საშუალება, ისე არ არის არავითარი საშუალება ცოლქმრული ერთგულების დარღვევის წინააღმდეგ.

პროტესტანტულ ქვეყნებში „დაცულია“ ოჯახის სიწმინდე. მეშინი-პროტესტანტები ფილისტერები არიან. მათი ცოლქმრული „ერთგულება“ მოსაბეზრებელს ხდის ერთმანეთთან ცხოვრებას და ამას ისინი უწოდებენ ოჯახურ ბედნიერებას.

გერმანულ რომანებში ვაჟი ქალს ირთავს, ფრანგულში კი ვაჟს რქები ესხმება (ცოლი ღალატობს). ფრანგი ბურჟუა საშინელ მოწყენილობას გრძნობს გერმანული რომანის კითხვის დროს, ხოლო გერმანულ ფილისტერს თავზარს სცემს ფრანგული რომანის „ზნედაცემულობა“.

(ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“),





—რად გვინდა ასეთი გიგანტები! რა-**„მეგარჯვენა-„მეგარჯვენა“** —ჰმ! რა დიდი საქმეა! ყოველთვის უნდა უნდა შედეგოდან ასეთი გიგანტები

სტალინი სატირის იარაღი „მეგარჯვენა“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ

გინახავთ თქვენ მეთევზეები ქარიშხალისა და დიდი ლელვის დროს მდინარეზე, როგორც არის, მაგალითად, მდინარე ენისეი? მე ბევრჯერ მინახავს ისინი. მეთევზეთა ერთი ჯგუფი ასეთი შემთხვევის დროს არ იბნევა, რა-ზმავს ყველა თავის ძალებს და ერთმანეთს ამხნევენ: „აბა, ბიჭებო, ყოჩაღად, მედგრად გავაპოთ ტალღები და გავიღეთ ნაპირზე“.

მაგრამ მეორე ჯგუფი ასე როდი იქცევა. მას ში-ში იპყრობს, იგი სულთ ეცემა და მოყვება წუწუნს: „უბედურება გვეწვია, დავწვეთ ნაფის ფსკერზე, დავხუ-ქოთ თვალები, ეგებ ღმერთმა მშვიდობით გადაგვიყვანოს ნაპირზე“.

ბუხარინის ჯგუფი ჩვენ გვაგონებს მეთევზეთა მეორე ჯგუფს, რომელიც პანიკურად იხევეს უკან სიძნელეების წინაშე.
(სტალინის სიტყვა ცეკას პლენუმზე).

* * *

გაგვიჩნდა ჩვენ სადმე სიძნელე, ისინი უკვე განგაშს ტყენენ: „ეს ცუდის მომასწავებელია“.

გაფაჩუნდა სადმე ტარაკანი, ჯერ იგი არც კი გამო-სულა ხერელიდან, რომ ესენი უკვე უკან იხევენ და მო-თქვამენ კატასტროფაზე, საბჭოთა ხელისუფლების დაღუ-ბვაზე, ჩვენ მათ ვამშვიდებთ და ვარწმუნებთ, რომ აქ

სახიფათო არაფერია, ეს მხოლოდ ტარაკანია, რომელიც არ არის საშიში, მაგრამ მაინც არ სჯერათ და გაიძახიან: „არა, ეს ტარაკანი არ არის, ეს გაცოფებული ლომებია“.

ბუხარინი წერს თეზისებს და უგზავნის ცეკას, რომ „საბჭოთა ხელისუფლება ერთ თვეში დაილუპება“.

რიკოვი იზიარებს ბუხარინის თეზისებს, მაგრამ დას-ძენს, რომ მასთან აქვს დიდი უთანხმოება და ეს დიდი უთანხმოება ის არის, რომ „საბჭოთა ხელისუფლება და-ილუპება არა ერთ თვეში, არამედ ერთ თვეში და ორ დღეში“.

ტომსკი ორივეს ემბრობა, მაგრამ უსაყვედურებს მათ, რომ „არ იყო საჭირო თეზისების წერა და ამითი დო-კუმენტის დატოვება, რისთვისაც შემდეგ პასუხი უნდა ვა-გოთ. რამდენჯერ გაგაფრთხილე მე თქვენ — რაც გინდათ ის ჰქენით, ხოლო დოკუმენტი არ დატოვოთ, მოსპვით მისი კვალი“.

ერთი წლის შემდეგ, როცა ბრიყვიც კი რწმუნდება იმაში, რომ ტარაკანის საფრთხე გამოჩეკილი კვერცხის ნაჭუჭადაც არა ღირს, — ესენი გონზე მოდიან, მხნეველებიან და კვენასაც კი იწყებენ, რომ მათ არავითარი ტარაკა-ნის არ ეშინიათ“.
(სტალინის სიტყვა მე-16 პარტ. ყრილობაზე).



კ რ ო კ ო ღ ი ლ ი: — ათი წლის თავზე მიიღო ჩვენან მხურვალე საღებო, ნიანბო, კვლავ ისევ ვაღლა გავიროს ჩვენი საბურთის ალაპი



J. Nadar
1933

ოპორტუნისტი:—ნუ გუშინია, ვიღი წინ!
კულაკი:—შვილსა, თუ რაზე შეგიძლია, წინ გამოდი, უკან არ შევარაბო!



—ჰმ! რა უნდა დამაკლოს ამ მოლექულამ გოლიათს?

„ნიანგი“

ცნობილია, რომ ქართველ ხალხს ხუმრობა მეტად ეხერხება და უყვარს.

ამიტომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებშივე დაიბადა აზრი სახუმარო ჟურნალის გამოცემის შესახებ.

ყველაფერი მზად იყო, გარდა ჟურნალის სახელწოდებისა.

ერთი შეხედვით თითქოს ეს უბრალო გარემოება მეტად რთული და თავსახეთქი საქმე გამოდგა.

რა სახელწოდებაც არ იქნა აღებული, გამოირკვა, რომ ასეთი თურმე უკვე არსებობდა წარსულში და მათი განმეორება ხომ ორიგინალობა აღარ იქნებოდა.

ბევრი ფიქრისა და დავიდარების შემდეგ, შარშან, აგვისტოს პირველ რიცხვებში სანდრო ეულს გაუღმა ბედმა და მოაგონებია დროს შესაფერი სახელი „ყუმბარა“.

მაგრამ ის მხოლოდ მარტო ერთი ნომრისთვის გამოდგა, რადგან პირველსავე გასროლაზე გასკდა და ვერაფერით საშვალეებით ვეღარ მოხერხდა მისი ნამტკრებების თავის მოყრა.

ვინ იცის, რამდენმა სახუმარო მასალამ ფუჭათ ჩაიარა მას შემდეგ ჟურნალის უქონლობის გამო.

ხელახლა მოეწყო სარედაქციო კოლეგია, რომელიც ენერგიულად შეუდგა საქმეს.

კოლეგიის სხდომა იმართებოდა ს. თ-იას ბინაზე.

ოჯახის წევრებიც კი დებულობდნენ მონაწილეობას ჟურნალის სახელის გამოგონებაში. ერთი სხდომის დროს კატამ დაიჭყავლა. ამ გარემოებამ სარედაქციო კოლეგიის ერთ წევრთაგანს მოაგონა კატის ბრჭყალები და წინადადება შემოიტანა ჟურნალისათვის „ბრჭყალები“ გვეწო-

დებია, მაგრამ მისი წინადადება არ იქნა მიღებული ხმის უმეტესობით.

შესაფერი სახელის გამოუგონლობის გამო კინალამ ჩაიფუშა საქმე, მაგრამ შემთხვევით გარემოებამ მოატრიალა ჩარხი წაღმა.

სწორედ ამ დროს ამუშავდა ჩათახის თუჯის სასხმელი ქარხანა.

სარედაქციო კოლეგია მიიწვიეს ქარხნის გახსნის ზეიმზე.

აქ მადნის მალარობის დათვალიერების დროს აღმოჩენილ იქნა არამც თუ ჩვენი სახუმარო ჟურნალის სახელი, არამედ მისი მთავარი რედაქტორიც.

ცნობილი მონადირე—იგივე სარედაქციო კოლეგიის წევრი ს. თ-ია მოულოდნელად წაადგა თავს ერთ მიყრუებულ მალაროში ჩაცუცქულ ნიანგს.

კურდღლებზე და გარეულ ბატ-ქათამზე ნადირობას მიჩვეულს ცოტა კი ეუცხოვა ასეთ არაჩვეულებრივ ცხოველთან პირისპირ შეყრა, მაგრამ მონადირის უსაზღვრო თავმოყვარეობამ უკანდახვევის ნება არ მისცა. კოლეგიის სხვა წევრებიც წამოებმარენ მას და შეიქნა ომი ფიცხელი, რომლის დროსაც ნიანგი დამარცხდა, იმიტომ, რომ ცუდი პოზიცია ეჭირა მალაროში შემწყვდეულს.

იქვე შემუშავებული იქნა საზავო ხელშეკრულების რამდენიმე მუხლი, რომელიც პირნათლად იქნება შესრულებული ორივე მხარეების მიერ ისე, როგორც არ შესრულება არც ერთი აქამდე დადებული ხელშეკრულებები კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

აი, ამ ხელშეკრულების შინაარსიც, რომელზედაც ორივე მხარემ მოაწერა ხელი:

1. მე, ნიანგი, ვაღიარებ ვალდებულ ვარ გავსწიო უმთავრესი რედაქტორობა სახუმარო ჟურნალისა, რომელიც გამოვა ჩემივე სახელწოდებით, მაგრამ ამავე დროს ვაღიარებ ვარ დავემორჩილო სარედაქციო კოლეგიის ყოველივე დადგენილებას და არაფერი ვიმოქმედო მის ნებადაურთველად.

2. ნიანგი დაჯილდოვებულ იქნეს საბჭოთა ახალ ქარხნებში ჩამოსხმულ ჩანგლებით.

3. სარედაქციო კოლეგიასა და თანამშრომლებს მიეცეს „ნიანგის“ საპატო სიგელი და დაჯილდოვებულ იქნენ. ჯილდოს განსაზღვრა დაევალოს თითონ იუბილიტარს.

4. აღნიშნული ხელშეკრულების ვადა ისევ გაგრძელდეს და მოხდეს მისი რატიფიკაცია.

სრულიად სანიანგოს ყრილობის დადგენილება

აქვე მოთავსებული ხელშეკრულება, რომელიც დაიდვა აშხ. ნიანგსა და სარედაქციო კოლეგიას შორის ათი წლის წინად და რომელიც გამოქვეყნებული იქნა ჟურ. „ნიანგის“ № 1-ში 1923 წელს, ივნისში, ცნობილ იქნეს კეთილსინდისიერად შესრულებულად ორივე მხრით:



შენიშვნა: აღნიშნოს, რომ ხსენებული ხელშეკრულება ნაწილობრივად დარღვეული იქნა თანახმად ნიანგისა და სარედაქციო კოლეგიის მიერ იმ მხრით, რომ დროებით ბურთი და მოედანი დათმობილი ჰქონდა ტარტაროზს, მაგრამ, ვინაიდან ტარტაროზი იმავე მიზნებს ემსახურებოდა, რომელსაც ნიანგი, ამიტომ ხარვეზად არ ჩაითვალოს ის ხანა, რომლის განმავლობაში ნიანგის ნაცვლად ტარტაროზი გამოდიოდა. ამგვარად ჩვენ ვზეიმობთ ქართული საბჭოთა ჰუმორის არსებობის ათი წლის თავს უხარვეზოდ.

1. მადლობა გამოეცხადოს ორივე მხარეს.

2. ნიანგი დაჯილდოვებულ იქნეს საბჭოთა ახალ ქარხნებში ჩამოსხმულ ჩანგლებით.

3. სარედაქციო კოლეგიასა და თანამშრომლებს მიეცეს „ნიანგის“ საპატო სიგელი და დაჯილდოვებულ იქნენ. ჯილდოს განსაზღვრა დაევალოს თითონ იუბილიტარს.

4. აღნიშნული ხელშეკრულების ვადა ისევ გაგრძელდეს და მოხდეს მისი რატიფიკაცია.



—ეგ გაიზარდა, მე კი მოლეკულად ვიქეცი. რას დავაკლებ ვოლიათს?

საიუბილეო ინტერვიუ ნიანგთან

წარმოდგინეთ, რა მძიმე საქმეა მთელი ერთი თვე დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე ლებულობდე, ისეთ ხალხს, როგორცაა ბურჟუაზიული ჟურნალისტები, ესაუბრებოდე და აძლედი ყოველ მათ დიპლომატიურ შეკითხვებზე პასუხს.

მერე და იცით რამდენ შეკითხვას იძლევა თვითეული მათგანი? როგორც იტყვიან ჩვენში: „გულისთ დგამენ“ შეკითხვებს და ასეთი მძიმე საქმე ჩვენმა ნიანგმა დამშვიდებით შეასრულა. მას თვითეულ შეკითხვაზე თითქოს წინასწარ ჰქონდა პასუხი დამზადებული.

ნიანგის ბინაზე და ჩვენს რედაქციაში ბურჟუაზიული ჟურნალისტების მთელი ლაშქარი იღვა, რომლებიც მოვლინებული იყვნენ საბჭოთა კავშირში სხვადასხვა სახელმწიფოებიდან ნიანგის იუბილესთან დაკავშირებით რაიმე სენსაციის შეთხზვისათვის.

სულ სამოცდაჩვიდმეტი სახელმწიფოებიდან მოვლინებული იყო ათას ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტი ჟურნალისტი, რომელთაგან ნიანგმა მიიღო ერთი მილიონ ხუთასი ათასი შეკითხვა.

2. სარედაქციაო კოლეგია თავისი მხრით ვალდებულია მოაწყოს ნიანგის ცხოვრება ისე, რომ მას არ მოაკლდეს საკბილო მასალა და არ მოშივდეს. ყოველ კვირაში თუ არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც ნიანგი გამოდის სოფელქალაქებში გასანავარდებლად. ამ დროს მას სრული უფლება აქვს ვისაც უნდა იმას უკბინოს, ან სრულებით შეებზამუნოს, ვინც უნდა ვააციოს, ან აატიროს, მოახდინოს ქუჩებში, თუ სახლებში აურ-ზაური და განგაში, მითქმა-მოთქმა და ყაყანი. სარედაქციაო კოლეგია ვალდებულია დაიცვას ნიანგი ამ დროს ყოველივე საფრთხიდან, ვისგანაც არ უნდა იყოს ის მოსალოდნელი.

3. ნიანგი ვალდებულია, რომ თავისი ნაფარდის დროს არაფერი აწყენიოს პატიოსან მუშას, გლეხს და წითელ არმიელს. დანარჩენი მოქალაქენი კი, როგორც არიან სპეკულიანტ-ჩარჩ-ვაჭრები, მღვდლები და ბერ მონაზვნები, მექრთამე და არამზადა საბჭოთა მოსამსახურეები და სხვა მრავალი ამგვარი ჯურის ხალხი—იმყოფებიან ნიანგის სრულ განკარგულებაში და როგორც სურს მას, ისე შეუძლია მოექცეს მათ. ასეთებზე სანადიროთ ნიანგს შეუძლია საზღვარგარეთ მოგზაურობაც, მარა ეს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში.—იმ დროს, როდესაც რაიმე საკითხი მწვავედ დგას ანა თუ იმ სახელმწიფოში!

4. ნიანგი ვალდებულია თავისუფალი დრო გამოიყენოს სავსებით და რედაქციაში დაბრუნების დროს თან მოიტანოს იმდენი საგზალი, რამდენიც ყოფა გამოსვლამდე.

ხელშეკრულებაზე ხელს აწერენ: **ს.თ.—აი. ნიანგა.**

ინგლისელი ჟურნალისტი:— ბატონო ნიანგო, ჩვენ ინგლისელებს ძლიერ გვინტერესებს თქვენი იუბილესთან დაკავშირებით თქვენი ჯანმრთელობა.

ნიანგი:— მიიღეთ ჩემგან დიდი მადლობა ჩემზე ასეთი ყურადღებისა და ზრუნვისათვის. მეც მაინტერესებს ვიცოდეთ, —თქვენ ალბათ ექიმი ბრძანდებით?

ჟურნალისტი:— არა, მე ექიმი არ ვარ, მე ყოფილი სამხედრო პირი ვარ...

ნიანგი:— რისთვის გაინტერესებთ თქვენ ჩემი ჯანმრთელობა?

ჟურნალისტი:— საზოგადოდ მიღებულია, იუბილეს შემდეგ იუბილიარი პენსიაზე გადადის და საზოგადო მოღვაწეობას თავს ანებებს. ნუ თუ თქვენ, იუბილეს შემდეგ ისევ განაგრძობთ მოღვაწეობას?

ნიანგი:— ჩემი მუშაობა იქნება უფრო გაათავებულად! საპენსიოდ საქმე არა მაქვს და არც მექნება.

გერმ. ჟურნალისტი:— გაქვთ თუ არა განზრახვა მეორე ათი წლის იუბილეს გადახდისა და სად ილდესასწაულებთ მას?

ნიანგი:— განზრახვაზე ლაპარაკი ზედმეტია, როცა ეს საკითხი წინასწარ გადაწყვეტილი მაქვს. ჩემი მეორე ათი წლის იუბილეს გადახდა მომიხდება საბჭოთა მსოფლიოში (იხ. სურათი 1 გვერდზე).

ფრანგი ჟურნალისტი:— ჩვენ გვინტერესებს ვიცოდეთ, —რით იკვებებით თქვენ?

ნიანგი:— ამ შეკითხვაზე ნება მომეცით პასუხის მაგიერ გიჩვენოთ ჩემი კვების პროცესი.

ნიანგმა პირი დაალო და შემკითხველი ჟურნალისტი უხეზლად პირში ჩაიღო.

ჟურნალისტიმა ყვირილი მორთო და შიშისაგან ჭკუადაკარგული ხახასკენ დაეშვა... იქ მყოფ უცხოეთის ჟურნალისტებს ფერი დაეკარგათ და ზოგიერთ მათგანს გულიც გაუსკდა.

ნიანგმა ფრანგი ჟურნალისტი პირიდან ფრთხილად გამოიღო და თავის წინანდელ ადგილას დასვა.

დამშვიდდით ბატონო ჟურნალისტებო, — მიმართა მან უცხოეთის ჟურნალისტებს, — მე ვიკვებები საბჭოთა კავშირის მტრებით, ესენი არიან: იმპერიალისტები, ფაშისტები, სიციალ-გამყიდველები, რომლებიც მოკალათებულან მეორე ინტერნაციონალში, ემიგრანტები, მანებლები ოპორტუნისტები, კულაკები, ყოფილი ჩინოვნიკები, და კიდევ მოსყიდული ჟურნალისტები.

ამ პასუხის შემდეგ უცხოეთის ჟურნალისტები ვერცხლის წყალივით გაიპნენ და იმ წუთშივე მოჩვენებასავით გაქრნენ...

ნიანგი და ჩვენ — მისი თანამებრძოლები დიდხანს ვიცინოდით ამ იშვიათ ინტერვიუს გამო...



კ. ჩიოტეოვი VI-334

ყველგან ნიანბი

ფიზიკანტი.—აქაც ალარ მასმინებს.



ლ.ბ.

უკანასკნელი გადაღება

ნინოშვილი სატირულად გამოხატავს და უპირისუპირად ახველი ცხრუკი მისი ეს ნაშთები და გადაიღო. მათი სურათი თავისი მუშაობისათვის.

ახირებული რამ არის ეს ჩვენი რედაქტორი! ჩამცივბია: „შენს იუმორს იუმორი აკლია“-ო. მერე, მე ხონ იუმორს იუმორისათვის არა ვსწერ, მას არ ვიგონებ, განგებ არა ვთხზავ, არამედ მზამზარეულად სინამდვილიდან ვიღებ და რა ჩემი ბრალია, თუ მას იგი აკლია, რაც შენ გინდა!

აი, მაგალითად, თითქმის ყოველდღე განსაზღვრულ საათებში ჩენს ფანჯარასთან აივლ-ჩაივლს ერთი აწო-წოლაკებული, უშნო, გამხდარი მოხუცი და ბოხი, მაგრამ დაბალი, მიბნედილი ხმით გაიძახის: „მუხამორ, მუხამორ!“ თავი რომ მომაბეზრა, ერთ დღეს მივმართე: „მოიტა, კეთილო, თქვენი „მუხამორი“ თქვა!

აილო და მომცა. გავუფინე ბუზებს და ველოდები. თქვენც არ მომიკვდეთ, ბუზები ამ ჩემ „მუხამორზე“ სულ ფერხულს უვლიან, მაგრამ ერთიც ზედ არ ეკვრება!

დავიჭირე ერთ დღეს ის ბერიკაცი და ვუსაყვედურე: „ეს რა არის, თქვენ მიერ მოყიდულ „მუხამორს“ ერთი ბუზიც არ მიეკარა, ყველანი არხეინად დაფრინდებიან ზედ და არხეინადვე გაფრინდებიან მეთქი“.


— მერე, თქვენ გინდათ, რომ არ გაფრინდენ? დაიკირეთ ბუზები, დაგლიჯეთ ფრთები და ფეხები, დააქარეთ იმ ჩემ მიერ მოყიდულ „მუხამორზე“ და ნანავთ, თუ გაფრინდენო — აღშფოთებულად მომივო მოხუცმა.

ჰო და რაღას მთხოვ ახლა მე. მართალია ეს არ არის იუმორი, მაგრამ ნამდვილთან კი ისეა სწორი, როგორც ორმოცდაათ წლიანი სტაჟის მქონე ნოტარიუსის შემოწმებული პირი სწორია თავის ასლთან. ყოველ ანდაზას, აფორიზმს, თუ საერთოდ ქარაგმა სიტყვას, ბრძნულ აზრს, რომელსაც ხალხი მოხდენილად და სხარტულად გამოთქვამს ხოლმე, მე დიდ პატივს ვცემ, დიდათ ვაფასებ!

სადაოა მხოლოდ ის, თუ რანაირად უნდა ხდებოდეს მათი კრიტიკულად ათვისება. როცა ხალხმა ეს ბრძნული აზრები ჩამოაყალიბა, კერძო საკუთრების ესა თუ ის ინსტიტუტი ბატონობდა. დღეს სოციალიზმს ვაშენებთ, მაშასადამე, ყველა ეს ანდაზა-აფორიზმები თუ სხვა ქარაგმა და სხარტულად ნათქვამი სიტყვები უნდა შევებრუნოთ, რათა დღევანდელი ხანისათვის მისაღები და აწინდელი ადამიანისათვის გასაგები გახდეს.

ნიანგი და კულაკი


ნახ. თოიძის



1. კოლექტივმა გაიმარჯვა, მას არ მისცა ვასაქანი. მონიდლომა შიგ შეძრომა, ხელს უშლიდა სისქე, განი.



3. და იცვალა სახე უცბად, დაემართა თითქოს გრიბი; ჩამოთხელდა და ჩამოღნა და აღარ აქვს ხქელი ღიბი.



2. და მიადგა კოლექტივის გამოკეტილ მისთვის კარებს. მას იცნობენ რაც შვილია და არავინ არ იკარებს.



4. როგორც იყო მოახერხა— კოლექტივში შეყო თავი, — მაგრამ დახვდა იქ ნიანგი, დღე დაადგა მებდა შავი.

მეტამორფოზა

ვის არ გაუგონია — ზვიადაძე სოგრატი: ქვეყანაზე განთქმული იყო ბიუროკრატი. ყოყოჩობდა, კუდები იღვა იმის კარებთან, კარს არავის უღებდა არავის იკარებდა. მაგრამ ერთხელ ნიანგის ეშვებს თვალი მოკრა და სამუდამოდ მორჯულდა ზვიადაძე სოგრატი.

2

მე ვიცნობ ერთ ქალბატონს, სახელი აქვს თინია, ეშმაკები არა სწამს, ღმერთის არ ეშინია. გამგესთანაც ისეა, როგორც შენაუღლები, მაგრამ ნიანგს რომ ხედავს ვეკცება მუხლები.

3

ვანო — სიმულიანტი კვარტს დაცლიდა ორასსა, მეტ სახელად ეძახდენ სარდაფის ტიკპორასა! შავი დაფაც აჩვენეს, მისცხეს საყვედურებიც, მაგრამ არ ვაიბერტყა ივანიკამ ყურები. და ბოლოს კი სირცხვილით შეეკვალა „ნატურა“, ჩაეხატათ ნიანგში მისი კარიკატურა. საფრთხობელას წაგავდა, იცინოდენ მასები, და მის შემდეგ ივანეც შეიცვალა სახსებით!

მაგალითად, ძველად ამ ანდაზას ასე იტყოდნენ: „თაფლი იყოს, თორემ ბუზი ახალციხიდან მოვია“. ახლა კი ეს ანდაზა თანახმად ჩემი რჩევისა, ასე უნდა შეიცვალოს: „ბუზი იყვეს, თორემ თაფლი ახალციხიდან მოვა“.

აი, საფუძველი: ერთერთმა დღევანდელი სავაჭროს გამგემ, მართლაც მიიღო აუარებელი თაფლი. მხოლოდ არა ახალციხიდან, არამედ ლორიდან. მაგრამ სანამ მუშები მივიდოდნენ, თაფლი უკვე „განაწილებული“ აღმოჩნდა, ხოლო გაწილებული მუშები კი გამოდიოდნენ სავაჭრო-

დან და გულმოკლული იგონებდნენ ამ ანდაზას: „თაფლი იყოს, თორემ ბუზი ახალციხიდან მოვა“.

აკი ეს გამგე მართლაც ახალციხელი არ აღმოჩნდა? დასამატი ამაზე მხოლოდ შემდეგია: ვინც ერთხელ გამოგზავნის ის თაფლი, ალბათ ის მეორეჯერაც გამოგზავნის მას, იმ იმედით, რომ თაფლი თავის დანიშნულებას მიაღწევს.

დიახ, მიაღწევს: „ბუზი იყვეს, თორემ თაფლი ბამბაკიდანაც კი მოვა“.

ჰაზირა

წ ი ნ ა ლ ნახ. ი. ქოქიაშვილის

10 წ ე ლ ი

განვლო ნიანგმა მანძილი გრძელი, ბევრისთვის მარგი, ბევრისთვის მწველი! ვინ იცის რამდენი გააბა ბადეში, ბიუროკრატი, არისტოკრატი, სიტყვით დემოკრატი, საქმით პლუტოკრატი.

ურწმუნო თომა — ვისაც „მარჯვნივ და მარცხნივ“ სჩვევია ხტომა! რამდენმა მფლანგველმა დაკარგა მსუქანი ლუკმა, გაუშრა ყელი, გაუშეშდა ხელი —

იმ დროს, როცა ის სალაროსკენ მიქონდა, და გაქაფვის იმედიც ჰქონდა! შენგან გაკეთებული საქმე დიდია.


არ ინდობ ახლაც ვინც რომ ფილიდია! ბევრ აღმასკომის თავმჯდომარეს დაუკარგე ტკბილი პატივი, იმათაც, ვინც შესკამა ხალხის კოოპერატივი! შენ არ ინდობ მფლანგველებს და ოხრებს არც პირწუწუკ ნოქრებს.

ბევრს აღმოუჩინე ერბო და ნაპარავი ბრინჯი. (შენ მუდამ იყავ მკაცრი და დინჯი). ბევრს გაუსინჯე საესე კალათი, შიგ ნაპარავი ნახე ხალათი.

ქუჩებში ველარ ვხედავთ პროფესიონალურ ჩარჩს, კინტოს, ვაჭარს, ვინც სხვისი ნაღლეტი ფულებით მიირთმევედა მაჭარს.

ათვალიერებ მუშა საქონელს — ცხენებს და ხარებს, კარგად მოვლილი შენაც გახარებს! თავზე ევლები რკინის ტრაქტორებს, ებრძვი გამცდენებს, „უზურპატორებს“! გიყვარს ქარხანა, ფაბრიკა, მილიდან ამოსული ბოლი, რომელიც შავად ფარავს ქუჩას, გიყვარს სწორი და ტოლი! ვაშას ეუბნები დამკვერელ მუშას — და შრომის გმირებს, ინდუსტრიის მაგარ ჯებირებს!


ძნელოლი.



კულაკი ძველად თავს გრძნობდა მეფედ, ამუშავებდა დღედაღამ გლეხებს!

გლეხიც შრომობდა რაც ძალია ჰქონდა, მისი ნაშრომი კულაკს მიჰქონდა!

ა ს ლ ა



დღეს კი სახრავი გამოვლია, და დაწაწალობს, როგორც მელია!

გლეხებმა ასდგეს უკვე პანდური, და ჩამოყარა იმანაც ყური!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



О. ШЛИНГ

ქლიარო ნიანზო, ბთონვთ ბავოსცე მანიშხსტი ღა შუბვიმსუზუმო სსჯვალნი
6 0 5 6 8 0—განვალთი ჩემბან, რამითუ არა ვიღო უშრად უფრეაბი თქმენი.



J. Nadar

ს კ მ ლ ა უ ი

მასწავლებელი:—აბა ახლა უნ მითხარი—რითი იკვებება ნიანგი?
 მოწაფე (ნიანგის მკითხველი):—ნიანგი, მასწავლებელო, იკვებება
 ბიუროკრატიებით, კულაკებით, ოკოტუნისტებით და სხვა მავნებლებით.

ნიანგის „პროსავენი“



ნახ. რედაქციის მიერ



„ღმერთმა ნუ ქნას შენს პირში ჩავარდნა, შენი გამოხიზებით ათი თანამდებობა გამოვიცვალე... ყოველი შენი წელიწადი თითო თანამდებობად მიგდებდა... სრულებით არ გისურვებ შემდგომ წინსვლას.“

ბიუროკრატი.



„შვილო ფელეტონს მოგიკვდეს მამაშენი სატირიკა, უნივერსიტეტი დაგამთავრებინე, გადაგყვიო, კაცი გამოხვიდოდი მეგონა, შენ თურმე „ნიანგში“ ხუმრობ! გადაგიბეჭდებია ქვეყანა და მეც გამამწარე, ხუმრობის სწავლას რაღა უნივერსიტეტი უნდოდა!“

მამაშენი სატირიკა.



— ნიანგელებს 10 წლის თავს გილოცავთ... მაგრამ შემდგომ ათწლეულშიაც ასე ვყოფილიყოთ: შენ შენი ფელეტონებით შენთვის, ჩვენ ჩვენი გამომცემლობით ჩვენთვის. ყოველ შემთხვევაში იუმორისტულ კრებულებს ვერ გამოგიცემთ, რადგან ქალღალღი არ გვაქვს (თქვენთვის) სტამბებსაც არ სცალია (თქვენი ფელეტონების ასაწყობათ), ფულიც არა გვაქვს (თქვენი ჰონორარისათვის) და არც დრო გვაქვს (თქვენი) გამოცემებისათვის, იყავით კარგათ (ჩვენგან მოშორებით).

სახელგამიძე.



— გილოცავთ და არც გილოცავთ.. გილოცავთ, რადგან ბევრი მანვე მოგვაშორეთ, არ გილოცავთ, ვინაიდან საშიშია დარჩენილებსაც არ დაუწყოთ კენება.—

ჩხავციფგაერტიიანებების პარატი.



„ღვთის პირიდან გადავარდნილი აღახვანს უფალომ თვალნი თვისი და დაგინელოს შენნი, ვათარმედ დამიკარგე ძილი და მოხვენება... დამიკარგე ავრთვეთ თმა და წვერი, რამეთუ შენი მოუსვენარიტვის გამო აღმაკვეცივე მღვდლობა და ანაფორა გალიფედ გადამაკეთებინე. იყავნ წყუელი მრავალ ხუთწლიედინ დახ ხუთწლიდებამდე. ამინ.“

გაკრეტილი.



სიძე ბატონო თავს რომ იქებდრი უმაღლესი განათლებული ვარო და ქილიშვილი გამოგვკლაღე ხილიდამ, ესაა შენი დიდაკაცობა აქ სერიოზულ კაცად მოგქონდა თავი. შენ თურმე ნიანგში წერ და ქვეყანას მასხრად იღებ! ამის პასუხი ჩემს ქალიშვილს გამოატანე და მზითევიც გამოაყოღე.

სიმამრი (განკულაკებული).



მიიღე ჩემი შემოქმედებითი ენტუზიაზმი. შენმა ფელეტონებმა ბარეოთხი სამანგარიშის ბრიგადა ჩამოაყალიბა და შეეჯიბრებაც გააძლიერა. მოველით მეტს! ტენიკის ათვისების პათოსით—

დავგაძე.



„ისევე გაკოტრებული მენახო, როგორც მე გამაკოტრა მაგ მწარე ენამ, შენი კალმის გამო ნამდვილ კარიკატურად გადავიქეც და ფეხზე ვაჭრობას მოვიკიდე ხელი... ბოლოს კოლპერატივში შევცქერი, მაგრამ შენი წერილის შემდეგ მომხსნეს და ახალა ამ მოლოცვას ფრიალ შენოჭვიდ გარემოში ვწერ.“

ვაჭარაძე (გამსახლი).



ღმერთო ჩემო!.. თქვენ ნიანგელი ხართ? უკანვე მიიღეთ თქვენი წერილები და თვალით არ დამენახვით...“

„ის“

დღეს მეც მომინდა გიძღვნა სალამი, რითმებს რითმებზე ხელად ვაჭიდებ. ინდუსტრიის მაქვს ურო-ლაგამი და ტემპს ეს ლექსი დავაუპვიენე!



— გიძღვნე კოლმეურნულ სალამს მოლიანი კოლექტივიზაციის მასშტაბით. აბა შა, შეუთოთ შენ რომ იცი იმის ნაშთებს.—

კოლექტივიელი.

მოკოტმწერლოელი

წითელი სიცილი

ქრონიკალი
გეგმობილია

იციან ის, ვინც ბოლოს გაიცინებს. ჩვენ ბრძოლის ხალხი ვართ და... ვიცინით ხოლმე მაშინ, როცა ბრძოლის ბრძოლას მოვიგებთ. ნიანგი დგას რა თქვენს წინაშე თავისი არსებობის 10 წლის თავზე მრავალ ომგადახდილი, იციანის სერიოზულად, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე. მას სჯერა, რომ მასთან ერთად იციანის მთელი მისი ლაშქარი, მაგრამ საეჭვოდ მიაჩნია, რომ სიცილის გუნებაზე იყენენ მისი მტრები, რომლებიც მის მოვლინებაზე ძალიან გულიანად ხარხარებდნენ. რად აღარ იციანიან ისინი? ავიღოთ მამაგალითად:



ჩემბერლენი

ეს ვაჟბატონი ძალიან სიცილის გუნებაზე იყო, როცა თავის საინტერვენ-ცო გეგმებს ამუშავებდა და გაიძახოდა: „ბოლშევიკები ერთ ლუკმად არ მეყოფაო“. აფსუს, რა ვაჟკაცი! რა მონოკლი! რა გოგრა!

პიტლერი

პიტლერი დიდ ფახი-ფუხშია. დიდი რიხით მოახტა უნაგირზე გერმანიას. ასე ვიზამ, ისე ვიზამო,— მაგრამ ჯერჯერობით ის ჰქნა რომ სახელმწიფოში გაამეფა არევ-დარევა, უმუშევრობა, სიმშლი, სილატაკე, სისხლის დვრა, გაპარტახება. აი რა მოუტანა გერმანიას! ჯერ კი იციანის, მაგრამ ვნახოთ ხვალ ვინ გაიცინებს გერმანიაში.



კერზონი

ლორდი... მერე რა ლორდი! ხომ გახსოვთ ბუზს არ იკარებდა ახლოს. ისეთი თავმომწონე იყო. ისეთი დარდიმანიდი... გულადი და გაბედული. ძალიან მადიანად იციანოდა, როცა ნოტას ნოტაზე გზავნიდა, მუქარას-მუქარაზე. აგენტებს-აგენტებზე.



ეჰ, განა ღირს ახლა მიცვალებულზე ლაპარაკი! მიცვალებულზე ან კარგს იტყვიან, ანდა—არაფერს. და რადგანაც კარგს ვერ ვიტყვით ავზე, ამიტომ გაჩუმება ვამჯობინეთ ამ შემთხვევაში.

„სახონოს“ მისმა სიმართლემ.

პილხუდსკი

რატომ არ იციანის ძველებურად ეს ვაჟბატონი. რამ დაუკარგა მანა, რამ შეუკრა კრიკა. ხუთწლედის ძლევაში-ლად დამთავრებამ ხომ არა? დიახ, ეს არის მიზეზი. მეორე ხუთწლედის ბრწყინვალე გამარჯვების ზეიმზე ჩვენ კიდევ უფრო გულიანად გავიციანებთ. მაშინ ნახეთ ამისი სახე.



დეტერდინგი



აბა, ეს ვაჟბატონი ხომ ჭიჭინაზე სკდებოდა სიცილით, როჯა გროზნოს და ბაქოს ნავთის შადრეგებიდან შემოსულ ოქროებს თავის ჩოთქზე აქტივად ჩააგდებდა ხოლმე და დარწმუნებული იმაში, რომ ბოლშევიკების „ხუხულა“ ერთი მიწოლით დახვადებოდა. ნეტავი სად არის ახლა ის ოქროები, რომელიც მან საკუთარი ჯიბიდან მიახვილიდა ამ „გენიოსური“ განზრახვის შესრულებაზე?

ახლა რატომ არ არის სიცილის ხასიათზე ბ-ნი დეტერდინგი? ალბათ იმიტომ, რომ ბაქოს და გროზნოს ნავთის არ ასუნებოც.

კაუცკი

ამასაც უყვარდა ხოლმე ბოლშევიკი სიცილი, როგორც კი რამე სიძნელეს წააწყდებოდა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ძლევაში-სიცილი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. აიღებდა ხოლმე თავის კარაბადინს და „მეცნიერული“ აბდაუბდით ამტკიცებდა—დღეს თუ არა, ხვალ ბოლშევიკების ხსენება აღარ იქნებაო. ავიწყდებოდა ხოლმე თავის მოხუცებულობა და ბავშვივით სიცილის გუნებაზე დგებოდა.

რად არ იციანის ახლა!



კულაკი კულაკებს დიდი ხანია სიცილის მანა აღარა აქვთ. მართალია საკმაოდ მხიარულ გუნებაზე დგებოდნენ ხოლმე, როცა მემარჯვენეებისა და „მემარცხენეების“ ჭიკჭიკს გაიგონებდნენ, მაგრამ ახლა ვეჭვობთ, რომ მხიარულების რაიმე იერი ჰქონდეთ მათ სახეებს. მხიარულების კი არა, სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარა აქვთ!

ოპორტუნისტი



ეს ხომ გაირიყა საბოლოოდ. მეორე ხუთწლედის ჩემბებს ოპორტუნისტი ცახხახით შეხვდა და მას შემდეგ ციგბ-ციგელეა აქვს ტანში. რალა სიცილის ხასიათზე იქნება!

ასე, ამხანაგებო, იციანის ის, ვინც ბოლოს გაიცინებს.

ჩვენ ბრწყინვალედ დავამთავრეთ პირველი ხუთწლედი, ჩვენ გვახარებს და ვიცინით. ჩვენ შევასრულებთ მეორე ხუთწლედს, დავამყარებთ უკლასო საზოგადოებას.

წინ, ბრძოლით, გამარჯვებით და სიხარულით.





ნიანგი სადარაჯოზე

ნიანგი: — ახსნაბო წითელარბილო, მის ვლგეზა ჩემი ბასრი იარაღით ხელში სოციალისტური მშენებლობის სადარაჯოზე.

S. Nadareishvili